ხელშეკრულება

ჯანმრთელობის, ავტოტრანსპორტისა და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების და ფიზიკურ პირთა სახლის/ბინისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ,

24 თებერვალი, 2026 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სს "სადაზღვევო კომპანია იმედი L" (შემდგომში - „**კომპანია**") წარმოდგენილი ამედიცინო დაზღვევისა და საცალო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი **ნათია ანასტასიადის** და და მეორე მხრივ **შპს „ტპგ კორპორაცია"** (შემდგომში- **„აგენტი"**) წარმოდგენილი დირექტორის **ალექსანდრე აბესლამიძის** მიერ, აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას **ჯანმრთელობის, ავტოტრანსპორტისა და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების და ფიზიკურ პირთა სახლის/ბინისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის** სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ, (შემდგომში „ხელშეკრულება") რომლის ფარგლებშიც თანხმდებიან შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 კომპანია ანიჭებს აგენტს უფლებამოსილებას, რათა მან **ჯანმრთელობის, ავტოტრანსპორტისა და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების და ფიზიკურ პირთა სახლის/ბინისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის** სახეობაში (პირობები განთავსებულია https://imedil.ge/legal-info/ge ვებ. გვერდზე), კომპანიის სასარგებლოდ, მოიძიოს პოტენციური დამზღვევები და დაზღვევის განსახორციელებლად გადმოამისამართოს ისინი კომპანიაში.

1.2 აგენტი უზრუნველყოფს, ყოველ ჯერზე, გასაცემი სადაზღვევო პოლისების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის მოწოდებას კომპანიისთვის, შემდეგ ელ. მისამართზე: maiasharikadze@imedil.ge ,კომპანიის მიერ დადგენილი ფორმით, ხოლო კომპანია უზრუნველყოფს სადაზღვევო პოლისის გადაცემას აგენტის ელ.ფოსტაზე, 2 სამუშაო დღის ვადაში.

2. **მხარეთა უფლება-ვალდებულებები**

2.1 <u>აგენტი ვალდებულია</u>:

2.1.1. გამოიკვლიოს დასაზღვევი ობიექტი, დაადგინოს მისი კეთილსაიმედობა, რისკის დონე და სხვა აუცილებელი ფაქტორები.

2.1.2. დასაზღვევ პირს გააცნოს კომპანიის მიერ შემუშავებული შესაბამისი დაზღვევის პირობები;

2.1.3. დაიცვას სრული კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნოს "კომპანიის" ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგად;

2.1.4. გულისხმიერად და კეთილსინდისიერად აწარმოოს თავისი საქმიანობა.

2.1.5. არ გამოიყენოს ბოროტად მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

2.2 <u>აგენტი უფლებამოსილია</u>:

2.2.1 მოთხოვოს კომპანიას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზუსტი, შეუფერხებელი და ჯეროვანი შესრულება.

2.3 <u>კომპანია ვალდებულია</u>:

2.3.1 უზრუნველყოს აგენტი საჭირო დოკუმენტაციით, რაც აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

2.3.2 განახორციელოს ანგარიშსწორება აგენტთან წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2.4 <u>კომპანია უფლებამოსილია</u>:

2.4.1 მოთხოვოს აგენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზუსტი, დროული და განუხრელი შესრულება.

2.4.2 საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიძახოს "აგენტი", გამოითხოვოს მისგან დამატებითი ინფორმაცია, მისცეს შესაბამისი მითითებები, ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და სხვა.

ალექსანდრე აბესლამიძე

_____ _____

კომპანია აგენტი

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 "კომპანია" "აგენტს" უხდის ანაზღაურებას საკომისიოს სახით "აგენტის" მიერ გადმომისამართებული კლიენტების შესაბამისად, ფაქტობრივად მიღებული სადაზღვევო პრემიის შესაბამისად.

3.2 **აგენტის საკომისიო შეადგენს პოლისის გასაყიდი ტარიფის :ჯანმრთელობის შემთხვევაში - 3.5%-ს ავტოტრანსპორტისა და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების და ფიზიკურ პირთა სახლის/ბინისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის შემთხვევაში - 3.12%-ს.**

3.3 საკომისიოს თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და გადასახდელს.

3.4 აგენტი უზრუნველყოფს სადაზღვევო პოლისისთვის განკუთვნული სრული/ჯამური სადაზღვევო პრემიის გადმორიცხვას კომპანიისთვის.

4. ზიანის ანაზღაურება

4.1 თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას, სრული მოცულობით აუნაზღაუროს მეორე (დაზარალებულ) მხარეს მის მიერ მიყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი/ზარალი.

5. სადავო საკითხები

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობით. მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი შემდეგი წესით:

5.1.1.დავები, რომლებიც განპირობებულია აგენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს ,,დავების განმხილველ ცენტრს" (DRC-ს, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 204547348, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. #71, მე-4 ბლოკი; ვებგვერდი: www.drc-arbitration.ge)". ამასთან თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1,000,000.00 (ერთი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, მხარეთა შორის დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, ზეპირი მოსმენით და არბიტრს ნიშნავს DRC-ს (დავების განმხილველ ცენტრის) სასამართლო;

5.1.2 დავები რომლებიც განპირობებულია კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით, განსახილველად გადაეცემა, თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან (რაც ფიქსირდება წინამდებარე ხელშეკრულების პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში) და ძალაშია მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

6.2 **წინამდებარე ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად შემდგომი ამავე ხანგრძლივობის პერიოდებით, თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით არ შეთანხმდებიან შეწყვეტაზე.**

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ამის თაობაზე მეორე მხარისათვის არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების შემდეგ.

7.2 კომპანია იტოვებს უფლებას ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით დადგენილი ვადების დაუცველად, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იმ შემთხვევაში თუ, აგენტი:

- უარს აცხადებს (არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებაზე;

ალექსანდრე აბესიამიძე

კომპანია

აგენტი

- უხეშად არღვევს კომპანიის მიერ დადგენილ და მიღებულ საქმიანობის წესებს;
- გათქვამს კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას.

7.4 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში აგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს კომპანიას ამ ხელშეკრულების ფარგლებში მისგან მიღებული ნებისმიერი სახის ტექნიკური საშუალება/მასალა და გადაუხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში კომპანიისთვის მისაცემი ნებისმიერი თანხა.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ გააჩნიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული მოცულობით კისრების/აღების და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება, ცოდნა და უნარი და ამ მიზნით მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ლიცენზია, თანხმობა და ნებართვა ნებისმიერი შესაბამისი ფიზიკური თუ იურიდიული, კერძო თუ სახელმწიფო ზედამხედველი/მზრუნველი/მეურვე/მარეგულირებელი პირისგან თუ მმართველი ორგანოსგან/სამსახურისგან.

8.2 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა/ნებისმიერი სახის პირგასამტეხლოს მეორე მხარისათვის დაკისრება, არის შესაბამისი მხარის უფლება და არა ვალდებულება.

8.3 ეს ხელშეკრულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და თანამშრომლებისთვის.

8.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ვადა, უნდა შესრულდეს ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან და სხვა) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან უქმე დღეს, ვალდებულება უნდა შესრულდეს პირველივე სამუშაო დღეს.

8.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.6 ამ ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

8.7 წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული.

8.8 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; ბ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაზეც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან; გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონმდებლობისა და/ან შესაბამისი რეგულაციების (მათ შორის, კომპანიის შემთხვევაში, იმ საფონდო ბირჟის მოთხოვების მიხედვით და დაცვით, სადაც ივაჭრება მისი ბენეფიციარი მფლობელის აქციები) მოთხოვნათა შესაბამისად.

8.9 ხელშეკრულების რომელიმე მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობას. ამასთან, ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

8.10 ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების განმარტებისთვის / ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

ალექსანდრე აბესიამიძე

_____	_____
კომპანია	აგენტი

8.11 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

8.12 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა კომპანიას, ხოლო მეორე აგენტს.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მზღვეველი:

სს "სადაზღვევო კომპანია იმედი L"
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაის #9.
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008;
ელ. ფოსტა: maiasharikadze@imedil.ge
საკონტაქტო ტელ.: +995(32)2922222;
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა: GE53BG0000000316632300GEL;

აგენტი

შპს „ტპგ კორპორაცია"
იურიდიული მისამართი:
საქართველო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხელვაჩაური, მე-6 ქუჩის II ჩიხი, N1გ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 448431803
საკონტაქტო ტელ.: 555 01 99 44
ელ.ფოსტა: sandro@abeslamidze.ge
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: ;
ბანკის კოდი: ;
ა/ა:ს

ალექსანდრე აბესლამიძე

ალექსანდრე აბესლამიძე
დირექტორი

არასამედიცინო დაზღვევისა და საცალო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი
ნათია ანასტასიადის

ალექსანდრე აბესლამიძე